

ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N61 ბინაზე, მოქალაქე მედიკო ანდრიაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. მედიკო ანდრიაძის განცხადების (Na-4967 10.10.14), თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N61 ბინაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მედიკო ანდრიაძეს / ვ/ნ N60003002058/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი.გაბრიჭიძე/ ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N61 ბინაზე, საერთო ფართობი 27,62 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 16,70 კვ.მ. დამხმარე ფართობი 10,92 კვ.მ. მოქალაქე მედიკო ანდრიაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურღულია